ოქმი:**ო63.63213644**
თარიღი:**30/12/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 3

ქ. სამტრედია. 20 დეკემბერი, 2021 წელი.

2021 წლის 20 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,

ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 20 დეკემბრის N62-62213542 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და

საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს, (კორექტირებული ვერსია). ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" კორექტირებული დადგენილების პროექტის წარმოდგენა გამოწვეულია იმით, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის და მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოების ოდენობამ განიცადა ცვლილება და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის და მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოების ოდენობა განისაზღვრება შემდეგი სახით - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1100 ლარი (14 დეკემბერს წარმოდგენილ ვერსიაში 990 ლარი), მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 990 ლარი (14 დეკემბერს წარმოდგენილ ვერსიაში 955 ლარი), პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი 880 ლარი (14 დეკემბერს წარმოდგენილ ვერსიაში 835 ლარი), მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი 715 ლარი (14 დეკემბერს წარმოდგენილ ვერსიაში 745 ლარი).

(მომართვის N62-62213542 20/10/2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63213541-63**

20/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 17 დეკემბრის N62-6221351100 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2022 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტის განხილვისა და დამტკიცების საკითხს. კორექტირება გამოწვეულია აღმზრდელთა ხელფასის მატებით.

(მომართვის N62-6221351100 17/12/2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63213514-63** 17/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტიო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/